KA030164295302318

№ 01-2666/ს **18 / სექტემბერი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ქ-ნ სოფიკო ბელქანიას

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ელზა ჯგერენაიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 24-28 სექტემბერს საფრანგეთში ქ. სტრასბურგში დაგეგმილია ევროპის საბჭოს სოციალური ქარტიის და სოციალური უსაფრთხოების ევროპული კოდექსის სამთავრობო კომიტეტის რიგით 138-ე შეხვედრა.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე თითოეული წევრი ქვეყანა ვალდებულია წარადგინოს ევროპის საბჭოს ხმის უფლების მქონე წარმომადგენელი, წარადგინონ ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის რიგი მუხლების/ პუნქტების შესრულების მდგომარეობის შესახებ და მიიღონ მონაწილეობა განხილვებში, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ქარტიის მოთხოვნებთან შესაბამისობის/შეუსაბამობის შესახებ.

ხსენებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეული ვარ საფრანგეთში ქ. სტრასბურგში 2018 წლის 23 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება ევროპის საბჭოს მიერ.

გთხოვთ, უზრუნველყოთ შემდგომი პროცედურების განხორციელება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დღიური ნორმის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი: 261 გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ელზა ჯგერენაია